პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგზოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთების 43-ე წელი
№ 282 (12490) | შაბათი, 1 დეკემბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

შრომითს ვახტზე

რესპუბლიკურ საწარმოებში თავდადებული შრომით ბევრმა ქალიშვილმა ისახელა თავი. ისინი მამაკაცებისა და ჭაბუკების თანატოლად მონდომებით იბრძვიან თავიანთი წარმოების სახელისა და ღირსებისათვის. ამ სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის მექანიკური საამქროს მოწინავე მუშებს ეთერ აბრამიშვილს (მარცხნივ) და მარინე აკოფოვას, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის აღსანიშნავ ვახტზე დგანან და ყოველდღიურ საწარმოო გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლენუმის გადაწყვეტილებანი — ფართო მასებში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის დიად საქმეში. ამიტომ სავსებით ბუნებრივია ის ფართო გამოხმაურება და სახალხო მოწონება, რომლითაც შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ხალხი მხარს უჭერს პარტიას, რადგან მისი ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში ხედავს კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის მოფიქრებულ, მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში და მშენებლობებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების, პლენუმის სხვა მასალების ფართო ახსნა-განმარტება და შესწავლა. საქართველოს მშრომელები გულმოდგინედ, დიდი ინტერესით უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ აზრებს, ეძებენ ახალ რეზერვებსა და შესაძლებლობებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადასაწყვეტად. მოსაწონია ამ მხრივ პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი ნაბიჯები. ამ დღეებში აქ ჩატარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და პროპაგანდისტების საინსტრუქტაჟო თათბირები, რომლებზეც განხილულ იქნა იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალების პროპაგანდასთან დაკავშირებით. რაიკომმა შეიმუშავა პლენუმის მასალების პროპაგანდის კარგად მოფიქრებული გეგმა საუბრების, ლექციების, მოხსენებებისა და სხვა ღონისძიებათა ფართო თემატიკით.

მაგრამ ამასთანავე რედაქციაში შემოსული მასალები ცხადყოფენ, რომ ზოგან აქამდე არ დაუწყიათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალების პროპაგანდა. კერძოდ, ეს ითქმის ზნაურის რაიონის სოფელ ქვათეთრის კოლმეურნეობაზე, სადაც ჩაშლილია საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა. სამწუხაროდ, ეს კოლმეურნეობა ზნაურის რაიონში გამონაკლისი არ არის, ხოლო ასეთ მდგომარეობას გულდასმვიდებით შეჰყურებენ რაიონის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები.

იმის გამო რომ აფხაზეთში ჯერ კიდევ სათანადო დონეზე ვერ დგას მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, ავტონომიური რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში (ოჩამჩირე, სოხუმი, გალი) დაბალია ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა. პირდაპირ საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა საზოგადოებრივ მეცხოველეობაშიც, რომელიც აქ მეურნეობის კვლავ ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენს. წლიდან წლამდე მცირდება პირუტყვის, კერძოდ, ძროხების სულადობა. პროდუქტიული პირუტყვის მასობრივი ბერწიანობისა და არადამაკმაყოფილებელი მოვლის შედეგად სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის წლიური გეგმა მხოლოდ 45 პროცენტით არის შესრულებული. კოლმეურნეობებში საგრძნობლად შესუსტდა შრომისა და საწარმოო დისციპლინა. მარტო შარშან აფხაზეთში საკოლმეურნეო წარმოებაში მონაწილეობა არ მიუღია 1.585 შრომისუნარიან კოლმეურნეს, ხოლო ათასობით კოლმეურნეს არ გამოუმუშავებია შრომადღეების დაწესებული მინიმუმი.

პარტიული ორგანიზაციების ვალია აწარმოონ პლენუმის დოკუმენტების სისტემატური, გეგმაზომიერი ახსნა-განმარტება, ამასთან გულდასმით მოიფიქრონ ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც ეხება როგორც თემატიკას ისე თვითეული საჯარო გამოსვლის, საუბრისა და ლექციის დონისათვის ზრუნვას. უნდა გამოვიყენოთ პოლიტიკური აგიტაციისა და პროპაგანდის მრავალმხრივი ფორმები და მეთოდები.

აგიტატორისა და პროპაგანდისტის ადგილი კომუნიზმისათვის ბრძოლის ყველაზე მოწინავე ხაზზეა — იქ, სადაც მიმდინარეობს დაძაბული ბრძოლა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის. ამიტომ აგიტატორები და პროპაგანდისტები უნდა ისწრაფოდენ მასებთან თავიანთი ყოველი შეხვედრა, თვითეული საუბარი მჭიდროდ დაუკავშირონ ცხოვრებას, წარმოების აქტუალურ ამოცანებს, რომ იზრდებოდეს პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, გიზგიზებდეს სოციალისტური შეჯიბრების ალი.

ახლა ჩვენი სამშობლო იმყოფება შვიდწლედის მეხუთე წლის მიჯნასთან, როცა საბჭოთა ხალხს ასაღები ექნება ახალი ზღუდეები ეკონომიკის ყველა დარგში. მშობლიური კომუნისტური პარტია მოუწოდებს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი, მთლიანად შეასრულონ 1963 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა და ამით ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგან წინ — კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

უპატაკებენ სამშობლოს

რუსთავი. (საკ. კორ.). ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა პრაქტიკულად შეუდგა პარტიის ნოემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, რუსთავის წიდაბამბის ქარხნიდან მოვიდა ახალი, სასიხარულო ცნობა. ამ ახალგაზრდა კოლექტივმა ვადაზე დიდი ხნით ადრე 101 პროცენტით შეასრულა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. მოპოვებულია მაღალი მაჩვენებლები პროდუქციის თვითღირებულებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეშიც.

ჭიათურა. (საკ. კორ.). **მარგანეცის ქალაქის მშრომელები თავადადებული შრომით უპასუხებენ ნოემბრის პლენუმის ბრძნულ გადაწყვეტილებებს. მარგანეცის ტრესმა 27 ნოემბრისათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულა მარგანეცის დამზადების თერთმეტი თვის დავალება.**

ბაღის ლოვლათი

ხილის ასეთი უხვი მოსავალი დადებულია სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არ უნახავთ. 1962 წელს სამხრეთ ოსეთს 4.500 ტონა ხილი უნდა მიეყიდა სახელმწიფოსათვის. 20 ნოემბრისათვის ხილის მიმღებმა პუნქტებმა უკვე მიიღეს და ჩვენი ქვეყნის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში გაგზავნეს 5.300 ტონა საუკეთესო ხარისხის ვაშლი. ხილის მიღება კვლავ გრძელდება.

განსაკუთრებით მაღალი მოსავალი მიიღო ცხინვალის რაიონმა, რომელიც აგერ რამდენიმე წელია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას ინარჩუნებს მეხილეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

ვაშლის სარეკორდო მოსავალი მიიღო ამ რაიონის სოფელ ჭსუისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ. აქ 220 ჰექტარი ხეხილის ბაღი აქვთ და საშუალოდ ჰექტარზე 100 ცენტნერზე მეტი ვაშლი მოკრეფეს.

ამ კოლმეურნეობის ერთმა ბრიგადამ, რომელიც კომუნისტური შრომის ბრიგადის სპატარა სახელს ატარებს და რომელსაც გამოცდილი მებაღე გ. საგაევი ხელმძღვანელობს, თექვსმეტი ჰექტარი ბაღიდან ჰექტარზე საშუალოდ 270 ცენტნერი ვაშლი მოკრიფა. ბაღებს უხვად ესხა ვაშლის ცნობილი ჯიშის — კეხურას სამშობლოში. ამ სოფლის კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 250 ტონის ნაცვლად 500 ტონა ხილი მიჰყიდა სამშობლოს. აღსანიშნავია, რომ კეხვის კოლმეურნეობაში სახელმწიფომ კოლმეურნეებისაგან 400 ტონაზე მეტი ვაშლი შეისყიდა.

ხილის ჩაბარების გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს ამავე რაიონის სოფელ ვანათის, ზნაურის რაიონის სოფელ ნულის კოლმეურნეობებმა.

ბაღების ასეთმა დიდმა მოსავლიანობამ აღაფრთოვანა კოლმეურნე გლეხობა. ისინი გაწლილი ფრონტით შეუდგნენ ბაღებისა და ვენახების საშემოდგომო დამუშავებას.

ი. თოდიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალი ზვრები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიულმა მოხსენებამ ახალი შრომითი საქმეებისათვის აღაფრთოვანა ზესტაფონელი მშრომელები.

პლენუმს საწარმოო გამარჯვებით შეხვდა არგვეთის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი, რომელმაც 50 ჰექტარის ნაცვლად 80 ჰექტარი ვენახი გააშენა. არგვეთელები ამით არ დაკმაყოფილდნენ და დამატებით 10 ჰექტარი ვენახი გააშენეს.

ახალი ზვრების გაშენებაში თავი გამოიჩინეს ა. ალავიძის, ბ. კობახიძის და შ. ნებიერიძის აგროუბნების კოლექტივებმ ა. ისინი წარმატებით ატარებენ საშემოდგომო სამუშაოებს.

შრომითი გამარჯვება

ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელებმა, იდგნენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, ვადამდე შეასრულეს სახალხო-სამეურნეო ტვირთბიდვის თერთმეტი თვის საწარმოო პროგრამა.

გეგმის გადამეტებით გადაზიდულია რამდენიმე ასეული ათასი ტონა ტვირთი. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირების დავალება.

შვიდწლედის მეოთხე წლის ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრების ავანგარდში არიან კომუნისტური შრომის კოლექტივები და დამკვრელები. კომუნისტური შრომის მოძრაობაში ახლა მონაწილეობს ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის 2.500 საამქრო, ცალკე, ბრიგადა და საოსტატო. (საკ. სს).

ვ. ი. ლენინის სახლ - მუზეუმი 25 წლისაა

პოდოლსკი (მოსკოვის ოლქი). (საკ. კორ.). მდინარე პახრის ნაპირთან დგას პატარა ხის სახლი. მის კედელზე მიმაგრებულია თეთრი მარმარილოს დაფა. დაფას აწერია: „აქ 1900 წელს ცხოვრობდა პროლეტარიატის დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“.

1937 წელს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ამ სახლში შეიქმნა ვ. ი. ლენინის მუზეუმი. მას შემდეგ სახლ-მუზეუმი ინახულა დაახლოებით მილიონმა კაცმა: ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, სტუმრებმა სხვა ქალაქებიდან და საზღვარგარეთიდან.

სახლში კვლავ აღდგენილია ის გარემო, რომელიც აქ იყო ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ. აი სამზარეულო დიდი რუსული ღუმელით, ვ. ი. ლენინის დედის მარიამ ალექსანდრეს ასულის ოთახი და სასტუმრო, სადაც ვლადიმერ ილიას-ძე აწყობდა თათბირებს რევოლუციონერ-იატაკქვეშელებთან, განიხილავდა გაზეთ „ისკრის“ გამოცემის გეგმას, ხოლო საღამოობით ეთამაშებოდა ჭადრაკს თავის ძმას დიმიტრის.

თვითონ ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა მომცრო ოთახში, სადაც ადიოდა კიბით საკუჭნაოზე გაგლით. აქ ყველაფერი უბრალოა — რკინის საწოლი, პატარა საწერი მაგიდა, თაროები წიგნებით, საგარძელი — სარწეველა. ამ ოთახში ვლადიმერ ილიას-ძე მუშაობდა, ისვენებდა, კითხულობდა.

ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმის 25 წლისთავის აღსანიშნავად დღეს აქ სახლ-მუზეუმის თანამშრომლების, საქალაქო პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენელთა და ძველი კომუნისტების მონაწილეობით გაიმართა საზეიმო სხდომა. გამოსულნი ხაზს უსვამდნენ, რომ ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმის მნიშვნელობა პოდოლსკში, განსაკუთრებით დიდია, ახლა, როცა საბჭოთა კავშირი ემზადება კომუნისტური პარტიის 60 წლისთავის აღნიშნვისათვის. სწორედ პოდოლსკი იყო ერთ-ერთი პუნქტი, სადაც ვ. ი. ლენინმა საფუძველი ჩაუყარა დიად პარტიასა და მის ცენტრალურ ორგანოს გაზეთ „ისკრას“.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲠᲐᲗᲝ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲔᲑᲘ

გაუმჯობესებული კონსტრუქციის პირველი ხუთი სახარათო ავტომატი დაამზადა სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელმა ქარხანამ. ისინი განკუთვნილია წნელ-ლითონის 40 მილიმეტრამდე დიამეტრის ნაკეთობათა ვრცელი ნომენკლატურის წარმოებისათვის. ჩარხებს აქვთ ექვსი შპინდელი. ისინი საშუალებას იძლევიან ერთსა და იმავე დროს გაკეთდეს ექვსი დეტალი.

პირველი ჩარხები დამზადებულია ხარკოვის ქარხანა „ნამგალი და ურო-სათვის“ გასაგზავნად. წლის ბოლომდე ჩარხმშენებლები დაამზადებენ ახალ სახარატო ავტომატებს მანქანათმშენებლობის სხვადასხვა ქარხნის დაკვეთებით.

მეტროს ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲖᲘ

დამთავრდა მოსკოვის მეტროს კიდევ ერთი სადგურის — „ვოიკოვსკის“ რკინაბეტონის კონსტრუქციების აწყობა. ახალ ტრასაზე, რომელიც მივა ხიმკიმდე, გათვალისწინებულია აიგოს აგრეთვე სადგურები „წყალჯომარდობის სტადიონი“ და „სამდინარო ვოგზალი“.

გორკი-ზამოსკვორეჩიეს რადიუსი, რომელშიც შედის ახალი ხაზი, გაგრძელდება აგრეთვე მეორე ბოლო სადგურიდან „ავტოქარხნიდან“. შემუშავებულია საპროექტო დავალება: გაიყვანონ მეტროს ხაზი სამხრეთისაკენ — მასობრივი განაშენიანების ახალ რაიონებში, სადაც იცხოვრებს ნახევარ მილიონამდე მცხოვრები. ახალ 8 კილომეტრიან მაგისტრალზე აიგება სადგურები „ნაგატინო“, „კაშირის გზატკეცილი“ და „კოლომენსკოე“.

ამრიგად, გორკი-ზამოსკვორეჩიეს რადიუსის საერთო სიგრძე შეადგენს 30-მდე კილომეტრს. ეს იქნება მოსკოვის მეტროპოლიტენის ყველაზე დიდი ხაზი.

სკკპ დელეგაცია იტალიაში გაემგზავრა

იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 30 ნოემბრს მოსკოვიდან რომს გაემგზავრა სკკპ დელეგაცია იტალიის კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. რ. კოზლოვი (დელეგაციის მეთაური), სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი უკრაინის კომპარტიის ლვოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ს. გრუშეცკი, ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ა. მანიუშისი და სკკპ ქალაქ მოსკოვის ფრუნზეს რაიკომის პირველი მდივანი ლ. მ. პერფილოვა. (საკდესი).

საფოსტო მარკაზეა ვ. კ. ᲒᲚᲘᲣᲮᲔᲠᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

მოსკოვი, 29 ნოემბერი. (საკდესის კორ.) სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ გამოუშვა ახალი საფოსტო მარკა, რომელიც ეძღვნება თეთრგვარდიელთა ბანდებისა და უცხოელ ინტერვენტებისაგან შორეულ აღმოსავლეთის განთავისუფლების 40 წლისთავს. მარკაზე აღბეჭდილია საბჭოთა არმიის ჯარების ჯეუფის ფიცხელი იერიში წითელი დროშით. მარკის მარცხენა მხარეზე გამოსახულია პორტრეტი სახელგანთქმული სარდლის ვ. კ. ბლიუხერისა საბჭოთა კავშირის მარშლის ფორმით.

ᲣᲙᲐᲠᲐᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

მოსკოვის ცხოვრება

შევჩენკოს სახელობის სანაპირო

სასტუმრო „უკრაინის“ პირდაპირ გაჩნდა ახალი სამშენებლო მოედანი: შენდება შევჩენკოს სახელობის სანაპირო. მისი სიგრძე დაახლოებით ორი კილომეტრი იქნება.

უნდა შესრულდეს დიდი მოცულობით მიწისა და ხიმინჯის სამუშაოები. მდინარე მოსკოვის გაყოლებით ამონტაჟებენ რკინაბეტონის კედელს ბლოკებისაგან, რომელთა წონა ორ ტონამდეა. ნაგებობა წყლის ზედაპირიდან ხუთ მეტრ სიმაღლეზე იქნება. შევჩენკოს სახელობის სანაპიროზე სამუშაოები დამთავრდება მომავალი წლის ბოლოსათვის.

ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲒᲜᲘᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ლენინგრადი, 29 ნოემბერი. (საკდესის კორ.) დღეს ქარხანა „ელექტროძალამ“ დაამთავრა მიმდინარე წლის ანგარიშში უკანასკნელი 225 ათასი კილოვატი სიმძლავრის მეცხრე გენერატორის ძირითადი კვანძების დამზადება. აგრეგატი განკუთვნილია ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურისათვის. შვიდწლედის მეხუთე წელს ელექტროკარხნელები ციმბირის ენერგეტიკის გიგანტს კიდევ მისცემენ სამ ასეთ გენერატორს.

„ᲐᲚᲛᲐᲡᲘ“, „ᲡᲐᲤᲘᲠᲝᲜᲘ“, „ᲥᲐᲠᲗᲐ“

ასეთი სახელწოდება ექნებათ რუსეთის იუველირვაჭრობის მოსკოვის ახალ მაღაზიებს. ორ მთაგანს სტოლეშნიკოვის შესახვევში — ხელახალი მოწყობის შემდეგ დაერქმევათ „ალმასი“ და „ქარგა“. პეტროვკასა და ლენინის პროსპექტზე საიუველირო მაღაზიებს დაერქმევათ „იაგუნდი“ და „ფირუზი“.

მოსკოვში იქნება აგრეთვე მაღაზიები: „ცისკარი“, „ზურმუხტი“, „ფოთანი“, „კრისტალი“, „მძივის მარცვალი“. ეს საიუველირო ნაკეთობათა მაღაზიები გაიხსნება არბატზე, ლომონოსოვის პროსპექტზე, პროფკავშირის ქუჩაზე და სხვ.

ᲐᲕᲔᲯᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲧᲐᲠᲐᲛᲝᲨᲘ

მოსკოვის ათობით ავეჯის მაღაზიას ამჟამად შეემატება კიდევ ერთი მაღაზია. იგი გაიხსნა № 2 ავეჯის ამწყობ კომბინატში. მოსკოველი პირველად დაიწყო მოსახლეობისათვის ავეჯის მიყიდვა უშუალოდ ამ ავეჯის საწარმოში.

ვაჭრობის ახალი ფორმა მეტად მოხერხებულია. მყიდველს საშუალება აქვს ამოირჩიოს ამა თუ ამ საწარმოს ავეჯი: მცირეგაბარიტიანი ავეჯის კომპლექტები, დივნები, დივან-საწოლები, სავარძელ-საწოლები, კარადები, სერვანტები, ბუფეტები.

ბაზისა და მაღაზიის გვერდის ავლით ავეჯი საწარმოდან პირდაპირ ეგზავნება შინ მყიდველს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲥᲝᲠᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Ჯ. ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲡ

ვაშინგტონი, 30 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ თეთრ სახლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი შეხვდა შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კენედის.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრას დაესწრნენ სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი, ამერიკის მხრივ — სახელმწიფო მდივანი დ. რასკი და სახელმწიფო მდივნის სპეციალური თანაშემწე ლ. ტომპსონი. შეხვედრა გაგრძელდა 3 საათსა და 15 წუთს.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ ა. ი. მიქოიანმა ამერიკისა და უცხოეთის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მრავალ კორესპონდენტს, რომლებიც თეთრ სახლში შეიკრიბნენ, შემდეგი განუცხადა:

„ჩვენ აზრი გავუზიარეთ პრეზიდენტ კენედის ჩვენი ქვეყნებისათვის ურთიერთ საინტერესო საკითხებზე, უმთავრესად კუბის საკითხზე. შეეთანხმდით პრეზიდენტთან, რომ საბჭოთა მთავრობა და პრეზიდენტი თავის წარმომადგენლებს ნიუ-იორკში მისცემენ შესაბამის ინსტრუქციებს განაგრძონ მოლაპარაკება, რომელიც დაკავშირებულია კარიბის ზღვის რაიონში მდგომარეობის მოწესრიგების დამთავრებასთან.

ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გ ᲘᲝᲡᲘᲤ ᲑᲠᲝᲖ ᲢᲘᲢᲝᲡ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ

იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქ სკოპლესა და მაკედონიის სახალხო რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებს თავს დაატყდა დიდი სტიქიური უბედურება — წყალდიდობა, გთხოვთ ამხანაგო პრეზიდენტო, საბჭოთა ხალხის, სსრ კავშირის თავრობისა და პირადად ჩემი სახელით გულწრფელი თანაგრძნობა გადასცეთ დაზარალებული რაიონების მოსახლეობას.

ნ. ხრუშჩოვი.

მოსკოვი, კრემლი.
1962 წლის 30 ნოემბერი.

ᲐᲜᲢᲘᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ

ლონდონი, 30 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საააგენტო იუწყება, ალჟირის კომუნისტური პარტიის მდივანმა ბაშირ ჰაჯ ალიმ მოითხოვა დღეს გაუქმონ გადაწყვეტილება ალჟირის კომპარტიის აკრძალვის შესახებ, რომელიც ჯუშინ გამოაქვეყნა ალჟირის მთავრობამ. განცხადებაში, რომელიც დღეს გამოაქვეყნა ბაზობა „ალჟე რესპუბლიკენმა“, ჰაჯ ალიმ ეს გადაწყვეტილება დაახასიათა როგორც „სერიოზული და სრულიად უკანონო ზომა“. იგი წერს, რომ ეს ზომა ანტიდემოკრატიულია და „გაახარებს მხოლოდ იმპერიალისტებს“.

გაზეთმა „ალჟე რეპიუბლიკენმა“ გამოაქვეყნა აგრეთვე სარედაქციო სტატია, რომელშიც გაკრიტიკებულია მთავრობის გადაწყვეტილება კომპარტიის აკრძალვის შესახებ.

ᲛᲢᲙᲘᲪᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲐ

პარიზი, 30 ნოემბერი. (საკდესი). უკანასკნელი წლის მანძილზე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რიგებში 48 ათასი ახალი წევრი შეეფდა. საწარმოებში, ქალაქებსა და სოფლებში შეიქმნა კომპარტიის 1.350 ახალი უჯრედი. ეს მონაცემები მოყვანილია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მოლიტბიუროს განცხადებაში, რომელიც მიეძღვნა 1963 წლისათვის პარტიული ბილეთების გამოცემის კამპანიის დაწყებას.

ამჟამად, ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში, პირობები საშუალებას გვაძლევენ კიდევ უფრო განვამტკიცოთ პარტია. პარლამენტის გასულ არჩევნებში ოთხმა მილიონმა ფრანგმა მოიწონა კომპარტიის მოლიტიკური კურსი და საქმიანობა. პარტია, რომელიც დაუცხრომლად იბრძვის დე გოლის მთავრობისა და მისი დამდუმეველი პოლიტიკის წინააღმდეგ, მაო მიიჩნიათ პირადი ხელისუფლების რეჟიმისაგან განმტკიცებული ოპოზიციის ძირითად ძალად.

ᲒᲣᲚᲗᲒᲘᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელიც საქართველოში იმყოფება მეგობრობის გზიტით გუშინ ეცნობოდა ქალაქ თბილისის ღირსშესანიშნაობებს. სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენი დედაქალაქის ახალმშენებლობებმა, არქიტექტურულმა გაფორმებამ. მეტეხის ციხიდან სტუმრების წინაშე ძველი თბილისის შესანიშნავი ხედი გადაიშალა. ყველგან, თბილისის სხვადასხვა რაიონებში სტუმრები დეტალურად ეცნობოდნენ ყველაფერს, რაც ქალაქის დღეგანდელსა და წარსულს ეხებოდა.

— თქვენი ქალაქი მშვენიერია, ლამაზია — განაცხადა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის მეთაურმა ამხ. ლი ძია-ჟენმა.

ქალაქში მოგზაურობის შემდეგ ჩინელი სტუმრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ. უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფესორმა ნ. ქოიავამ ძვირფას მეგობრებს მოუთხრო თბილისის უნივერსიტეტის შემოქმედებითი მუშაობის შესახებ. სტუმრებმა დათვალიერეს აუდიტორიები, კაბინეტ-ლაბორატორიები, სამკითხველო დარბაზები, დაესწრნენ უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრის რეპეტიციას.

საღამოს საქართველოს სსრ საზღვარგარეთის კავშირებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების დელეგაციის წევრები შეხვდნენ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების გამგეობის წევრებს, საზოგადოების აქტივს. გაიმართა გულთბილი საუბარი, რომელშიც ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის მეთაურმა ამხ. ლი ძია-ჟენმა და საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა რ. დვალმა დამსწრეთ გააცნეს საზოგადოებების მიერ ჩატარებული მუშაობა ორი მომავალ ხალხის მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ᲓᲘᲓ ᲒᲖᲐᲖᲔ

ᲛᲝᲒᲕᲘᲗᲘᲠᲝᲑᲔᲜ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ

ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲝᲗ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲘᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲬᲔᲚᲔᲑᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐᲖᲔ. ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲬᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲬᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ

თავისუფლების მზე აფრიკის ცაზე

ისტორიამ უკვე გამოუტანა განაჩენი ხალხთა ჩაგვრას, ექსპლუატაციას, ბატონობას, ბოროტებას, ომებსა და სილატაკეს. ხალხთა შორის მშვიდობის, უფლებათა თანასწორუფლებიანობის, ეროვნულ-კოლონიალური ბატონობის, ერთა ადამიანთა თავისუფლებისა და ბედნიერების ... ჩაუძრობელი ცეცხლია, ამ ცეცხლს ვერ ჩააძრობენ ბინძური ცილისწამებით, ჩაგრულ ხალხთა სისხლის მდინარეებით, ვერ გათელავენ სალდათის ჩექმით. ამ დიადმა იდეებმა ახლა ზღვები და ოკეანეები გადალახეს და დედამიწის ყველა კონტინენტზე დამკვიდრდნენ.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

სფინქსების გამოღვიძება

ბევრად საინტერესო მოვლენების მომსწრეა დღეანდელი თაობა. ჩვენი დროის ერთი წელიწადი, ერთი თვე და ზოგჯერ დღეც საუკუნეებს უტოლდება თავისი მრავალფეროვნებითა და გაჯანებით. ისტორიის აღუსანიშნელ საკუჭნაოში კონსერვირული სისტემით მიკრიან ქამრასავლის ამბებით დატვირთული როდოდები.

და ისტორიის კონვეიერში სულ უფრო მატულობს ცხონები საუკუნეობით სტენგამწარებელ აფრიკის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის, მის გასაოცარ წარმატებათა შესახებ.

ორმოცდახუთი წლის წინათ ნეგრის ნაპირებიდან ამოვარდნილმა ოქტომბრის ქარმა გადაფინა აფრიკას ტუნისიდან კეპტაუნამდე, სენეგალიდან ზანზიბარამდე: საღამოს ძალისაგან გამოიღვიძეს სფინქსებმა, თითქოს პირამიდებიც ზეტორტმანდნენ... და ჰანიბალის ფიცით იარაღი აიხსნა ბატრის ლუმუმბებმა, ჯომოკენტებმა... ივნისის ნოემბერი დაიძრა კოლონიური ჩაგვრისაგან განმათავისუფლებელი მოძრაობის მდინარე. შავი აფრიკა ნათდება. კილიმანჯარომ მოაზე თავისუფლების ბზე ბრწყინავს.

დღეს აფრიკა სისხლისა და ცეცხლის ენაზე წერს თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიას. ჩაივდა ის დრო, როცა ეროვნმოკავარ შავკანიანებს ყიდულობდნენ მძიგების ფასად და ყიდიან ეშმაკზე ყიდდნენ ახალ ორლეანსა თუ ლისაბონში. ახალი აფრიკის შვილებმა შეიცნეს თავიანთი თავი და იარაღს მოჰკიდეს ხელი. მათ კარგად იციან, რომ ამ ბრძოლაში არაფერს არ კარგავენ, გარდა ბორკილებისა, შეიძენენ კი ძლიერ და თავისუფალ აფრიკას.

კოლონიზატორების მიერ აფრიკის დაპყრობა და ბმონება ბარბაროსობისა და ვანდალიზმის, ცივილიზებულ მტაცებელთა გაუმაძღრობისა და ჯოჯოხეთური სისასტიკის სამინელი მატიანეა. კაცობრობის მთელი ისტორიის მანძილზე არც ერთ ხალხს არ განუცდია იმდენი ტანჯვა-ვაება, იმდენი აბუჩად აგდება, რამდენიც ცრემლითა და სისხლით გახბანილ აფრიკის მიწის ათეულ და ასეულ მილიონობით ადამიანს. კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ხუთი საუკუნე აფრიკა შავკანიანებზე ნადირობის ასპარეზი იყო.

საოცრად შეიცვალა უკანასკნელ წლებში აფრიკის პოლიტიკური რუკა. ამჟამად აფრიკაში ათობით ფრიალებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დროშები. აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიცხვმა 32-ს მიაღწია, მათმა მოსახლეობამ — 200 მილიონ კაცს. თავისუფლებისათვის ბრძოლის ალშია გახვეული კიდევ 40 მილიონი კაცი, რომელნიც მალე დალეწავენ კოლონიური ჩაგვრის ხუნდებს და „მაუ-მაუს" სიმღერებში სუვერენულ ქვეყნებთან ერთად შეუდგებიან ახალი ყოფის, ახალი ცხოვრების შენებას.

თითქმის რვა წელიწადს თავგანწირვით ებრძოდა ალჟირელი ხალხი ფრანგ კოლონიზატორებს. კოლონიზატორები თავიანთი ბატონობის შენარჩუნებისათვის ათასგვარ ხრიკებს მიმართავდნენ, მაგრამ ამაოდ. ბოროტსა სძლია კეთილმან, და მიმდინარე წლის 25 სექტემბერს ზეიმით გამოცხადდა ალჟირის სახალხოდემოკრატიული რესპუბლიკა. სკბკოთა ხალხი მხურვალედ მიესალმა ამ დიდ ისტორიულ მოვლენას ალჟირელი ხალხის ცხოვრებაში და უსურვა მას წარმატებანი ქვეყნის აღორძინების საქმეში.

უკვე მეორე წელია სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობს ანგოლაში პორტუგალიელ კოლონიზატორთა მიზეზით, მათი გაუმაძღრობის წყალობით.

ანგოლა ორი წლის წინათ ჩახმახზე შეყენებულ თოფს ჰგავდა. იგი მხოლოდ სანაბის ელოდებოდა. და 1961 წლის თებერვალში ქალაქ სან-საალვადორის ახლოს პორტუგალიელი პლანტატორის კარს რამდენიმე მკვიდრი ღატაკი მიადგა. მათ პლანტატორს ხელფასის მომატება სთხოვეს. შეკავანიანი მონების ამ კადნიერებას პლანტატორმა ტყვეთი უპასუხა. ღატაკთა მხეცურად დახოცვას, როგორც მეფის რუსეთში „ლენაზე თოფის გასროლას", მოჰყვა მრუმარების ყინულის დაძვრა — ანგოლაში აჯანყება დაიწყო. ამ ბრძოლას სათავეში უდგას სახალხო მოძრაობის პარტია ანგოლის განმათავისუფლებისათვის.

პორტუგალიის დიქტატორმა სალაზარმა აჯანყებულთა წინააღმდეგ მრავალათასიანი არმია გაგზავნა. მაგრამ ანგოლაში სალაზარის პოლიტიკა მარცხს განიცდის. მას ვერავითარი არმია, ვერავითარი იარაღი ვერ გადაარჩენს. ისტორიის განვითარება მალე გვაუწყებს ანგოლის გამარჯვებას.

სულ უფრო ზვრთდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აფრიკის სხვა კოლონიებშიც. კენიის, ნიასალენდის, ჩრდილოეთი და სამხრეთ როდეზიის, მოზამბიკის, გამბიის, ზანზიბარის, სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის ხალხები ირაზმებიან გადამწყვეტი ბრძოლისათვის თავისუფლებისა და ადამიანური უფლებების მოსაპოვებლად.

ბ ანასლენის ქარიშხალი მძლავრობს აფრიკის კონტინენტზე. კოლონიალიზმი აგონიას განიცდის, მაგრამ კონტრშეტევაზე გადადის. კოლონიზატორებს კარგად ესმით, რომ აფრიკის კონტინენტი მათი უკანასკნელი სასიცოცხლო დასაყრდენია. მათ ეშინიათ მთლიანად არ დაკარგონ იაფი მრეწველისა და სამრეწველო ნედლეულის ეს წყარო, დიდმნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმი.

იმპერიალისტური დასავლეთისათვის აფრიკა უწინარეს ყოვლისა არის კონგოს ალმასები და ურანის მადანი, სპპარის ნავთობი, ანგოლის ტყვეა და სპილენძი. აქ არის ბაზები რაკეტებისა და მართული ყუმბარებისათვის, ეროდრომები რეაქტიული ბომბდამშენებისათვის, სადგომები სამხედრო ხომალდებისათვის. მაგრამ ისტორია ბაუგნარნი სომკაცრიო ითვლის კოლონიზატორთა, უკანასკნელ საათებს.

აფრიკა მეტად მდიდარი ქვეყანაა, მიწის ნაყოფიერებითაც და, როგორც ადნიშნეთ, მეულვარეობითაც. ეს მტრობის ქვეყანაა, რადგან ვადამთიელ თეორკანიანს მისი დამონება და ყაჩაღური გადარეკა სურს, ხოლო შავკანიანს, — თავის დანარჩუნება. რა წიაღისეული არ არის აფრიკაში!

აფრიკა უდიდესი საკუჭნაოა, საიდანაც იმპერიალისტურ სახელმწიფოებს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული გააქვთ თავიანთი საკეთილდღეოდ. აფრიკის კონტინენტის ხარჯზე ამერიკის შეერთებული შტატები უზრუნველყოფენ ურანის, ალმასების, ნიობიუმის, კობალტის, გუმიარაბიკის, ბალმის ზეთის მოხმარების ძირითად ნაწილს, კაკაოს, მინაკის, გრძელბოჭკოიანი ბამბის, წითელი ხის, აზბესტის მოხმარების ნახევარს მაინც და სურმის, ქრომის, მარგანეცის, ტანტალის მოხმარების თითქმის მეოთხედს. ცხადია, ეს არის „ლომის წილი", მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებს არც მისი პარტნიორები ჩამორჩებიან.

იმპერიალისტები სეკის სიხარბით ძალერებენ აფრიკის ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაციასა და დატაცებას. გამოანგარიშებულია, რომ აფრიკაში მოპოვებული მინერალური ნედლეულის მხოლოდ 8 პროცენტი რჩება კონტინენტზე, დანარჩენი 92 პროცენტი კი ევროპასა და ამერიკაში გაიქცევ!

ფორმალურად კოლონიალიზმი აფრიკიდან მიდის სადარბაზო კარით, მაგრამ ავაზაკურად ბრუნდება ფანჯრიდან. კოლონიზატორები იყენებენ აფრიკის ახლადშექმნილი სახელმწიფოების ეკონომიურ ჩამორჩენილობას, ეროვნული კადრების მწვავე ნაკლებობას. და ყოველნაირ მახეს უგებენ, „დახმარების" სახით თავს ახვევენ მუხანათურ შეთანხმებებს, ისინი არაფერს არ ერიდებიან, ცდილობენ ავანსცენაზე ისეთი პოლიტიკური მოღვაწეები გამოიყვანონ, რომლებიც ხელს შეიწყობენ მათ წინანდელი პოზიციების შენარჩუნებაში.

ვ ინაიდან კოლონიური ბატონობის ძველი დრო წავიდა, იმპერიალისტები ცდილობენ გარეგანულად რაც შეიძლება მორბენილი ფორმები გამონახონ ძველი შინაარსით ბატონობისათვის. ერთ შემთხვევაში იმპერიალისტები კოლონიურ ქვეყნებს აძლევენ ფიქტიურ კონსტიტუციას, რომელიც მხოლოდ შირმაა კოლონიური ბატონობის დასაფარავად. მეორე შემთხვევაში, მაგალითად, ინგლისი არაბეთის ნახევარკუნძულის თავის სამფლობელოებში. ცდილობს ძალით ვაიერთიანოს ისინი მარონიტულ ფედერაციაში. მესამე, იმპერიალისტები იყენებენ ადგილობრივ ტომთა წინააღმდეგობას (მაგალითად, ბრიტანეთის გვიანა, ზანზიბარი), რათა გაახანგრძლივონ ამ ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების ვადა.

განსაკუთრებული აქტიურობით ახორციელებენ ნეოკოლონიალიზმის პოლიტიკას აფრიკაში ამერიკის შეერთებული შტატები. ისინი ცდილობენ ათასნაირი სესხებით მოატყვონ აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოები, თავიანთ ეკონომიურ მარწუხებში მოიმწყვდიონ და სული ამოხადონ ამ ქვეყნების მოსახლეობას. მაგრამ ყველა ეს ხრიკი შეუმჩნეველი როდია აფრიკელთათვის. ისინი სულ უფრო იმაღლებენ ხმას და ირაზმებიან ეროვნული თავისთავადობის განსამტკიცებლად და ასაღორძინებლად.

შავი კონტინენტის ზოგიერთი ქვეყანა (განა, გვინეა, მალი) მტკიცედ დაადგა განვითარების არაკაპიტალისტურ გზას, რომელიც ფართო ასპარეზს ქმნის სწრაფი ეკონომიური განვითარებისა და ხალხის მასების მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა შეიტანა წინადადება კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. სესიამ საბჭოთა მთავრობის ამ წინადადებაზე მიიღო დეკლარაცია. შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომელიც თვალყურს ადევნებდა ამ დეკლარაციის განხორციელებას. ახლანდელი XVII სესია სპეციალურად განიხილავს 17 ქვეყნის სპეციალური კომიტეტის მოხსენებას, თუ როგორ ხორციელდება დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

როცა კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციის საკითხი დგას, არ შეიძლება არ გაგახსენდეს კოლონიზატორთა სულიერი მამა ინგლისელი სესილ როდსი. ნახევარი საუკუნის წინ მან წარმომი წარმოთქვა: „მსოფლიო თითქმის მთლიანად განაწილებულია. ხოლო რაც დარჩა, ახლა ხდება მისი განაწილება, დაპყრობა და კოლონიზაცია. რა სამწუხაროა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მივაღწიოთ ეკრსკელამდე, რომელებიც ჩვენს თავზე ღამით ცაზე ბრწყინავენ! რომ შემეძლოს, ეს პლანეტებიც ანექსიას მოვახდენდი"...

ამ მილიონერსა და ფრანსტრ მეფეს, როგორც მას ვ. ი. ლენინი უწოდებდა, რომ შეეძლოს საფლავიდან წამოდგეს და ჩვენს პლანეტას შეხედოს, შეხედოს ბობოქარ აფრიკას, დაინახოს ის დიდი ცვლილებანი, რაც უკანასკნელ ხანს ჩაგრულ ხალხთა ცხოვრებაში მოხდა, ჩვენ ალბათ სესილ როდსის მეორე სიკვდილს მოწმენი გავხდებოდით.

კ ომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებენ ლენინურ საგარეო პოლიტიკას. ჩვენი ქვეყანა მუდამ იყო და არის აფრიკის ყველა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნის ხალხთა ერთგული მეგობარი. ამ მეგობრობის სახელოვანი ნიშანსვეტია ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერა ეთიოპიის ხალხისადმი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე იტალიელ ოკუპანტებთან ბრძოლის წლებში, გადამწყვეტი გამოსვლა ეგვიპტის დასაცავად სუეცის ავანტიურის პერიოდში და სხვა მრავალი. აფრიკის ხალხებთან ჩვენი მეგობრობის ბრწყინვალე განსახიერებაა ასუანის მაღალი ალშენის მშენებლობა ნილოსზე. ეკონომიური დახმარება აფრიკის ახალგაზრდა სუვერენული ქვეყნებისადმი.

დღეს აფრიკის დღეა. იგი ეწყობა ბანდუნგ და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მუდმივი ორგანიზაციის ალმასრულებელი კომიტეტის გადწყვეტილებით. ამ დღის სალოზუნგია: „იმპერიალისტებო, წაეთრიეთ აფრიკიდან!".

ამ მრისხანე სიტყვებს. როგორც საბრძოლო მოწოდებას წარმოთქვამენ დღეს არა მარტო აფრიკელები, არამედ ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტის კეთილ ნების ადამიანები.

ფრთები ესხმება პ. ლუმუმბას სიტყვებს — აფრიკა წერს დიდებისა და ღირსების საკუთარ ისტორიას.

ბ. ნამყენია.

ატომი მშვიდობის სამსახურში

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი. (საკდესი). გუშინდელ დილის პლენარულ სხდომაზე გენერალურმა ასამბლეამ განიხილა ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოს ყოველწლიური მოხსენება.

ასამბლეამ ერთხმად მიიღო პროექტი რეზოლუციისა, რომელიც შეიტანეს არგენტინის, ბრაზილიის, ბულგარეთის, კანადის, უნგრეთის, იაპონიის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, იუგოსლავიის, ინდოეთისა და პაკისტანის დელეგაციებმა და რომელიც იწონებს გადაწყვეტილებას — მოწვეულ იქნას ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების მესამე საერთაშორისო კონფერენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობით. რეზოლუცია წინადადებას აძლევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს განახორციელოს შესაბამისი მომზადება ამ კონფერენციისათვის, რომელიც უნდა მოწყოს 1964 წლის შემოდგომაზე.

პოლონეთის სეიმის სესია

ვარშავა, 29 ნოემბერი. (საკდესი). აქ გაიხსნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის სესია. სესიის დღის წესრიგშია: 1963 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტების განხილვა და სხვა საკითხები.

1963 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა მინისტრთა საბჭოსთან არსებული დაგეგმის კომისიის თავმჯდომარემ სტეფან ენდრიხოვსკიმ. მან აღნიშნა, რომ 1963 წლის გეგმა ითვალისწინებს სამრეწველო წარმოების საერთო ზრდას 5 პროცენტით. 1962 წელთან შედარებით წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდა შეადგენს 6,6 პროცენტს, ხოლო მოხმარების საშუალებათა წარმოება გაიზრდება 2,6 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო ღირებულება 1963 წელს მიმდინარე წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს 5,8 პროცენტით.

ზტრაუსი გადადგა

ბონი, 30 ნოემბერი. (საკდესი). როგორც დპა-ს საგენტო იუწყება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა შტრაუსმა „უარი თქვა თავის პოსტზე" დასავლეთ გერმანიის მთავრობაში.

ა. ი. მიკოიანი ვაშინგტონში

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი და მისი თანმხლები პირები 29 ნოემბერს დილით ნიუ-იორკიდან ვაშინგტონს გაფრინდნენ. ნიუ-იორკიდან წასვლის წინ ა. ი. მიკოიანმა გაკეთა შემდეგი განცხადება:

ბატონო ჟურნალისტებო, თქვენ ვერსად გაგიცევთ კაცი. ყოველთვის და ყველგან იქ ხართ, სადაც საჭიროა. დრო ნიუ-იორკში ჩვენ საქმისათვის გამოიყენეთ. ჩვენთვის სასიამოვნო იყო აქ ყოფნა. გვქონდა სასარგებლო საუბრები, რომლებიც დაგვეხმარა გაგებულ ერთმანეთის პოზიციები. წარმატებით მოლაპარაკებისათვის ერთმანეთის გაგება პირველი პირობაა. ჩვენ მივდივართ ვაშინგტონს, და ის, თუ რას გავაკეთებთ იქ, პრესამ მშვენივრად იცის. ნახვამდის.

ვ აშინგტონი, 29 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი. ვაშინგტონში ა. ი. მიკოიანი შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს კენედის.

ბ. რასელი უპასუხებს

ბეირუთი, 30 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთ „ალ-საფ

" მთავარმა რედაქტორმა ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსს ბერტრან რასელს მიმართა მთელი რიგი კითხვებით. კერძოდ, იგი შეეკითხა ბ. რასელს: „ჯერათ თუ არა, რომ ხრუშჩოვის მოქმედება კუბის საკითხში ჰუმანური იყო?" ბ. რასელმა ამაზე უპასუხა: „მე მჯერა, რომ ხრუშჩოვის მოქმედება კუბის საკითხში ცხადყოფს გაბედულებასა და კეთილშობილებას. ვერ წარმოიდგენია, რომ კენედის ამგვარადვე ემოქმედნა, თუ ფორმოზის ჯარშემო შეიქმნებოდა ასეთივე ვითარება. მჯერა, რომ მხოლოდ ხრუშჩოვის მოქმედებამ კუბის პრობლემისადმი მიდგომაში ბლოკადის გამოცხადების შემდეგ თავიდან აგვაცილა მსოფლიო ომის გაჩაღება".

სამარცხვინო პროცესი

დასავლეთ ბერლინში დაიწყო ნაციზმის დროს დადენილ პირთა გაერთიანების სასამართლო პროცესი.

შეეიხედოთ ჰარდენბერგშტრასეზე სასამართლოს დარბაზში, ვნახოთ, ვის სასამართლებს, ვის სასამართლებენ.

მოსამართლეთა სავარძლებში სხედან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს წევრები. ეს ზუსტად ასახავს დასავლეთ გერმანიის მთელ ახლანდელ სასამართლო აპარატს, რომელიც გაჟღენილია ყოფილი ჰიტლერელი მოსამართლეებით, პროკურორებით, მოხელეებით. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ნაცისტური ბატონობის საშინელი წლების მანძილზე ჯალათებს უყრდნენ ხელში ასეულ ათასობით ანტიფაშისტს. დოკუმენტურად დამტკიცებულია, რომ დასავლეთ გერმანიის მოსამართლეთა და პროკურორთა ორ მესამედს ჰიტლერული პარტიის ყოფილი მომხრენი შეადგენენ.

ასამართლებენ იმ მამაც ანტიფაშისტთა გაერთიანებას, რომლებიც სასწაულით დაეჭვრნენ ჯალათების კლანჭებს და ჰიტლერიზმის დამარცხების შემდეგ განაგრძობდნენ ბრძოლას ამისათვის, რომ გერმანიაში არასოდეს აღარ დაბრუნებულიყო მიხაკისფერი ჭირი, რომ გერმანელ ხალხს არასოდეს აღარ გამოეცადა ომის საშინელება. ამ ადამიანებმა 1948 წელს შექმნეს თავიანთი ორგანიზაცია — ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანება. ახლა ამ გაერთიანებას 30.000 ნევრი ჰყავს. მის 1 ოთხს შეადგენენ ფაშიზმისადმი წინააღმდეგობის ძველი აქტიური მებრძოლები. ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების V კონგრესის 197 დელეგატმა საერთოდ 326 წელი გაატარა ჰიტლერელთა კატორღულ საპყრობილეებში, ხოლო 191 დელეგატმა — 248 წელი ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში. ამ გამოწრეობილ ანტიფაშისტებთან ერთად გაერთიანებას მწყობრში დგას ბევრი დასავლეთგერმანელი მოქალაქე, რომლებიც უკვე ომისშემდგომი წლების მანძილზე მონაწილეობენ თავიანთი საშობლოს შეგიდობისა და დემოკრატიული განვითარებისათვის ბრძოლაში.

მოსამართლეთა და ბრალდებულთა პოლიტიკური სახის ეს უბრალო შედარებაც საკმარისია, რათა მიეხვდეთ, თუ რა არსს დღეს დაწყებული პროცესის მიზანი და აზრი.

ბონელმა ხელისუფლებამ ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანებას მისი ჩასახვის პირველი დღიდანვე რეპრესიები დაატეხეს თავს სწორედ იმიტომ, რომ ამ ორგანიზაციამ დაიწყო გადგეტილი და აქტიური ბრძოლა დასავლეთ გერმანიაში ფაშიზმისა და მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ.

ბონის პოლიციელმა ჯაშუშებმა მთელი თავიანთი ღონისძიებანი იმას მოახმარეს, რომ დაემტკიცებინათ, თითქოს მათთვის საძულველი ანტიფაშისტების გაერთიანება იყოს „შენიღბული კომუნისტური ორგანიზაცია", და ამრიგად ეშოვნათ იმის „კანონიერი" საბაბი, რომ ანტაკონსტიტუციურ ორგანიზაციად გამოეცხადებინათ იგი. ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების ყოველ ნაბიჯს, რომელმაც მილიტარიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფართო პლატფორმით სულ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ადამიანები შეაკავშირა, სახვიდნენ და სჯიდნენ როგორც „კომუნისტურ ხრიკებს".

და აი სამარცხვინო სასამართლო კომედია დაიწყო.

წმინდა პოლიციურ სახელმწიფოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გადაქცევის ეს პროცესი უნდა დაგვერგვინდეს შავი „საგანგებო" კანონების მთელი კრებულით, რომელიც ადენაუერის მთავრობამ ბუნდესტაგში წარსაღგენად მოამზადა, კანონებისა, რომლებიც ბონის ხელისუფლებს შესაძლებლობას აძლევენ ჩაახშონ მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამო უკმაყოფილების ყოველგვარი გამოვლინება. და თავიდან აიცილონ რაიმე დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე.

ყველა ქვეყნის ხალხთა მასების გონება და სინდისი აღშფოთებულია ადენაუერის სამფლობელოში შექმნილი საშიში სიტუაციის გამო. ადამიანებს შეგვეშალა აქვთ, რომ საქმე ეხება იმას, რომ საფრთხეშია ევროპის მშვიდობა, რადგან დემოკრატიული ოპოზიციის დათრგუნვა დასავლეთ გერმანიაში ხელიეს ეხსნის ყველაზე გათავხედებულ ბონელ მილიტარისტ ავანტიურისტებს. საკვირველი როდია, რომ დასავლეთ ბერლინშა გამართული საზიზღარი სამსჯავროს წინააღმდეგ პროტესტების აზვირთება ნამდვილ ბრიგალად იქცევა.

ი. ბორისოვი.
საკდესის მიმომხილველი.

ნამგუდირიადი განთავისუფლებულია

დელი, 29 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გაზეთები იუწყებიან, რომ პატრიმრობიდან გაათავისუფლეს ინდოეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ე. მ. შ. ნამბუდირიადი, რომელიც 22 ნოემბერს დაპატიმრეს „იმდროინდ დაცვის კანონის" საფუძველზე.

ამავე დროს პრესა იუწყება, რომ ინდოეთის სხვადასხვა რაიონში კიდევ დაპატიმრეს კომუნისტური პარტიის მოღვაწეები.

აჯრაკლის ალჟირის კომუნისტური პარტია

პარიზი, 29 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო ალჟირიდან იუწყება, დღეს ინფორმაციის მინისტრმა პაჯ-ჰამუმ პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადა, რომ ალჟირის მთავრობამ გადაწყვიტა აკრძალოს ალჟირის კომუნისტური პარტია. აკრძალეს აგრეთვე კომპარტიის ცენტრალური ორგანო — გაზეთი „ალ-ჰორია".

იაპონიის სოციალისტების ყრილობა დამთავრდა

ტოკიო, 29 ნოემბერი. (საკდესი). იაპონიის სოციალისტური პარტიის — ამ ქვეყნის უდიდესი ოპოზიციური პარტიის — ყრილობამ, რომელიც სამ დღეს მიმდინარეობდა, დაამთავრა მუშაობა. ყრილობამ მიიღო მოკმედების პროგრამა 1963 წლისათვის, დაამტკიცა პარტიის საგარეოპოლიტიკურ გეზი, შეიმუშავა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებისათვის მომზადების ღონისძიებანი (არჩევნები გაიმართება მომავალი წლის გაზაფხულზე), აგრეთვე განიხილა ღღის წესრიგის სხვა საკითხები და აირჩია ახალი ხელმძღვანელობა: პარტიის თავმჯდომარედ ალვე არჩეულია ძიოტარო კავაკამი, გენერალურ მდივნად — ტომომი ნარიტა.

ამერიკის შეერთებული შტატების ანტიკომუნისტური სტრატეგია, ნათქვამია გადაწყვეტილებაში, რომელიც განსაზღვრავს იაპონიის სოციალისტური პარტიის საგარეოპოლიტიკურ გეზს, დაძაბულობის მთავარი წყაროა აზიაში. სამხრეთ ვიეტნამში, ტაილანდში, სამხრეთ კორეაში, ტაივანზე და სხვა ქვეყნებში სამხედრო ბაზების შექმნა, რომლებიც შემართულია სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ, სერიოზულად ემუქრება მშვიდობას აზიაში.

იაპონიის პირველი ნაღმოსანი

ტოკიო, 30 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ნაგასაკში, „მიცუბისის" კომპანიის გემსაშენში დაიწყეს იაპონიის პირველი საესკადრო ნაღმოსნის მშენებლობა, რაკეტული დანადგარების გარდა ნაღმოსანზე დადგამენ რამდენიმე სწრაფმსროლ ქვემეხს, წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო რაკეტულ საშუალებებს, ტორპედო აპარატებსა და სხვა იარაღს.

ამ სამხედრო ხომალდის მშენებლობა იაპონელ გადასახადის გადამხდელებს 2.670 მილიონ იენი დაუჯდებათ. ამ ფულით შეიძლება აშენდეს ათასი ათასი ტონა წყალწყვის სამი სატვირთო გემი.

ჩოგბე ბომბაკს

ლეოპოლდვილი, 30 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობამ კონგოში გამოაქვეყნა ცნობა, რომ უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში კატანგის თვითმფრინავები, რომლებსაც დაქირავებული ეუროპელები მართავდნენ, გაანგარობდნენ ჩრდილოეთ კატანგის დასახლებული პუნქტების დაბომბვას, სადაც განლაგებულია კონგოს ეროვნული არმიის ნაწილები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობის კომუნიკეში, რომელიც აქ გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კატანგის ავიაციის ეს აქტები პროვოკაციულ აქტებად მიიჩნია და მზად არის ბოლო მოუღოს მათ ყველა თავისი საშუალებით, თუ ჩობმებმ არ შეწყვიტა ეს ეერიზები. ჯერჯერობით კი, როგორც კომუნიკედან ჩანს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავიაციი ომ რაიონებში, რომლებსაც თავს დაესხნენ ჩობმეს თვითმფრინავები, მხოლოდ სანატრულო და საზეგიან ფრენას აწარმოებს, რათა „გამოიარკვიოს ჩობმეს შეტეკვი ოპერაციების მასშტაბი".

ფაქტები ამხილებენ

ანგოლაში ერთი ექიმი მოდის ყოველ 26 ათას მოსახლეზე. ყოველი ხუთი ახალშობილიდან ცოცხლობს მხოლოდ ერთი ბავშვი. ამ ქვეყნის ყოველი 100 კაციდან წერა-კითხვის უცოდინარია 99.

მოზამბიკში ორი მილიონი მეტი მცხოვრებია, ვიდრე საქართველოში, ხოლო ტერიტორია ათჯერ მეტია, ვიდრე ჩვენი რესპუბლიკისა, და იქ მხოლოდ 165 ექიმია.

ზანზიბარში ყოველ ოცდაათ კაცზე ერთი დაავადებულია ტუბერკულოზით.

გამბიაში მხოლოდ ხუთი სკოლაა, სადაც უნდა ისწავლონ მთელი ქვეყნის სასკოლო ასაკის ბავშვებმა!

მთელი აფრიკის მინერალური რესურსების 92 პროცენტი გაეკვეთ კოლონიზატორებს თავიანთი საჭიროებისათვის, ხოლო 8 პროცენტი რჩება ადგილობრივი მოსახლეობის „მოთბოვნილებისათვის".

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა აფრიკის კოლონიებში ადგილობრივი მოსახლეობისათვის შეადგენს 28-30 წელს.

მუშების ხელფასს აფრიკის კოლონიებში განსაზღვრავს არა ქვალიფიკაცია, არამედ კანის ფერი, ინგლისის კოლონიებში ევროპელთა ხელფასი 15-20-ჯერ მეტია, ვიდრე აფრიკელებისა. მაგალითად, კენიაში ევროპელთა საშუალო წლიური ხელფასი შეადგენს 1.060 გირვანქა სტერლინგს, აფრიკელებისა — 56 გირვანქა სტერლინგს.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲛᲔ 8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,
1 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1962 Წ.

ზღვის არწივი

ესაჯარილია, რომელშიც კუნიცინი მსახურობდა, ჩრდილოეთის ერთ-ერთ აეროდრომზე გადაიყვანეს. აქ „თვალდაბუქული“ ფრენა უნდა შეგეძლოს. ამაში დაარწმუნა კუნიცინი პირველმა გაფრენამ. ის იყო მიწას მოსწყდა, რომ ატუდა ქარბუქი. არასოდეს ასე ნათლად და დამაჯერებლად არ უგრძვნია კუნიცინს, რომ ჰაერში მისი საუკეთესო მეგობრებია კომპასი, ავიაჰორიზონტი, საათი და სიჩქარის მაჩვენებელი.

ჩრდილოეთმა ბევრი რამ ასწავლა კუნიცინს, გამოაწრთო მისი ნებისყოფა. ამიტომაც შეუყვარდა ჩრდილოეთი. შორეულ მხარეში იგი მკვიდრდებოდა როგორც მასპინძელი, დიდი ხნით და საფუძვლიანად. ოფიცერმა კუნიცინმა ჩრდილოეთში წაიყვანა მეულლე ლიდია სერგის ასული, ოთხი წლის ბიჭი სერიოჟა, ხოლო იურკა (ეს სახელი ბიჭს დარქვეს კოსმონავტი ფრონინის ი. გაგარინის პატივსაცემად) სულ ახლახან დაბადა...

კომუნისტებმა კუნიცინი ესაჯარილის პარტიული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს. მან ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს. მაგრამ... ეს იყო ძალიან სეროზული „მაგრამ“. როგორ იფიქრებდა კუნიცინი, რომ ეს გაფრენა საბედისწერო იქნებოდა.

„ფრინავი აფრინდა, როდესაც განგაშის ნიშანი მისცეს. მან ჯერ კიდევ არ იცოდა ვისი თვითმფრინავი იყო საჰაერო ოკეანეში — ჩვენი თუ სხვისა. თუმცა რამდენიმე წუთის შემდეგ მიწიდან აცნობეს, გაფრენის მიზანი ვარჯიშია, მაგრამ კუნიცინი მოქმედებდა ისე, როგორც ნამდვილ ბრძოლაში.

კუნიცინი პირდაპირ კუდში მოეკცა „მოწინააღმდეგ ს“. აიღო საჭირო სიმაღლე, ჩართო ფორსაჟი და მოსწია სახელური. გამანადგურებელი ცაში აიჭრა. და აქ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. მანქანა არ დაემორჩილა საჭეს. თვითმფრინავმა წონასწორობა დაკარგა და ქვასავით წამოვიდა ძირს.

— საჭეს მიმტყუნა. ვცდილობ თვითმფრინავი გადავიყვანო ჰორიზონტალურ ფრენაზე, — აუღელვებლად მოახსენა კუნიცინმა საკომანდო პუნქტს.

მანქანის სიჩქარე ყოველ წუთს იზრდებოდა. ამასთან ერთად ძლიერ იზრდებოდა მექანიზმების გადატვირთვა. თითქოს თუჯის ნაჭერი აწვებოდა მხრებზე კუნიცინს... ლითონმა ვერ გაუძლო. თვითმფრინავს ნაფოტებივით ჩამოსცილდა ავზები. ადამიანი განაგრძობდა ბრძოლას მანქანის სიცოცხლისათვის. კუნიცინმა მხოლოდ მაშინ დატოვა თვითმფრინავი, როდესაც მანქანა უკვე იმსხვრეოდა.

ძირს ყინულოვანი ზღვის ტალღებია. „მშვიდად“ — ეუბნება თავის თავს კუნიცინი, სიმხნე